ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47. 47232475**
თარიღი:**04/09/2023**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N 8

***დ. ჩოხატაური* 29 აგვისტო, 2023 წელი.**

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, ბიძინა ცინცაძე, ლაშა თოლორდავა, გოგი ბოლქვაძე, გივი ჩხიკვაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, არჩილ სიხარულიძე, მარინე თავაძე, ნინო რამიშვილი.

ნინო თოდრია - არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი.

არ ესწრებოდა: ზაალ მამალაძე, მარინე ბერაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, დიმიტრი კორიფაძე, გიორგი მათითაშვილი, კლოდი მდინარაძე, მაია გიორგაძე, მიხეილ თავართქილაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ბაია ძნელაძე, მამია ბარამიძე.

მოწვეული:

მალხაზ წიქორია - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში;

მერაბ ბერძენიშვილი -არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი;

ვალერი ყაჭეიშვილი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის

საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევითვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:მალხაზ წიქორია

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევითვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი:დავით გუდავაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მოისმინეს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

ცნობად იქნა მიღებული განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

II საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ნინო რამიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დასაფინანსებელ პროექტებში წარმოდგენილია ბასილეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რამდენად მართებულია აღნიშნული მონაკვეთის აღდგენა, მაშინ, როცა ცენტრალური გზა უფრო პრიორიტეტულია და მძიმე მდგომარეობაშია.

მერაბ ბერძენიშვილი: ბუკნარი-ბასილეთი-ქვენობნის გზის რეაბილიტაცია სხვა პროექტით უნდა იქნას განხორციელებული.

ნინო რამიშვილი დაინტერესდა, როცა დაიწყება გზის შეკეთება, მოხდება თუ არა ერთდროულად სანიაღვრე არხების მოწყობაც?

ირაკლი კუჭავა: ამ ეტაპზე აღნიშნული არ არის გათვალისწინებული.

გოგი ბოლქვაძე: როცა გადაწყდება რომელიმე პროექტის განხორცილება, იქნება ეს სოფლის პროექტით თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, უმჯობესია გაკეთდეს სრულყოფილად, თუ სახსრები არასაკმარისია, შესაძლოა სოფლები შეთანხმდნენ და ერთ წელს ერთ სოფელში გაკეთდეს სრულყოფილად, ხოლო მომდევნო წელს - მეორეში. მისი აზრით, ბასილეთი-მთისპირის გზის რეაბილიტაციაზე მეტად სხვა შიდა გზების მოწესრიგებაა მნიშვნელოვანი. ამდენად, ის წარმოდგენილი ფორმით საკითხის მოწონების წინააღმდეგია.

ნინო რამიშვილი: ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში მსაწესრიგებელია მსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საკითხი, იგეგმება თუ არა ამ კუთხით სამუშაოს განხორციელება?

ირაკლი კუჭავა: ამჟამად არსებული წყლის დებეტი არ იძლევა ქვენობნის წყლით მომარაგების შესაძლებლობას. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამომავლოს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _22

წინააღმდეგი _ 1 (გოგი ბოლქვაძე)
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214)

სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

IV საკითხი: ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვეს: გოგი ბოლქვაძე: ფრაქცია „ჩოხატაური საქართველოსთვის“ სახელით მხარს არ ვუჭერ საკითხის გატანას საკრებულოს სხდომაზე, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია არის პარკის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ნაკვეთის გასხვისების და შემდგომში მასზე რაიმე სახის სამშენებლო პროცესის წარმართვის, როგორც საკუთარი შეხედულებით, ისე ჩოხატაურის მცხოვრებთა ინტერესებიდან გამომდინარე.

დავით ტყეშელიაძე: რადგან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი არის განუსხვისებელი ქონება, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მისი გასხვისება და არ ვუჭერს მხარს განკარგულების მიღებას.

გოჩა ჯიქია:უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება მართებულია.

ირაკლი კუჭავა: საკითხი შემოტანილია კანონის სრული დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _15

წინააღმდეგი _ 8

(გოგი ბოლქვაძე, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, ნინო რამიშვილი, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, არჩილ სიხარულიძე, მარინე თავაძე).
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების

საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომაზე დამწრეთაგან ქართული ოცნების წარმომადგენელმა დავით ტყეშელიაძემ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ხათუნა ბერიშვილმა, ბაჩო ახალაძემ, არჩილ სიხარულიძემ და მარინე თავაძემ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს.

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ წიქორია

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცალკეულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის, მათი შედგენის, გამოყენების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევითვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მოისმინეს:

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევითვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: მალხაზ წიქორია

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, ნინო რამიშვილმა, ნოდარი ცხომელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე N1 ქუჩისთვის, 3 ჩიხისა და 1 შესახვევითვის მურთაზ ირემაძის სახელის მინიჭების თაობაზე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი